**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა
და განათლების ცენტრი**

მარშალ გელოვანის გამზირი №32გ
0159 თბილისი, საქართველო
+995 32 2 11 20 23
info@eiec.gov.ge
eiec.gov.ge

27 დეკემბერი 2024

N 01/1/2335

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიას

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას

ასლი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

ასლი: სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

ასლი: ი/მ თორნიკე აშვეთიას

გაცნობებთ, რომ 2024 წლის 20 დეკემბერს ი/მ თორნიკე აშვეთიამ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარადგინა **წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთში თევზსაშენი მეურნეობის მოწყობისა და ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშის განცხადება.** სკოპინგის ანგარიშის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე - https://ei.gov.ge/. დეტალური ინფორმაცია იხილეთ ბმულზე - https://ei.gov.ge/ka/info/1b4d9d7f-6374-42a1-8176-129bc6f61b40

დაგეგმილი საქმიანობის სკოპინგის ანგარიშის განცხადებასთან და თანდართულ დოკუმენტაციასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ, წარუდგინოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2025 წლის 29 იანვრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გთხოვთ, შენიშვნის/მოსაზრების ელფოსტაზე გამოგზავნისას მიუთითოთ შემდეგი ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს).

დამატებით გაცნობებთ, რომ აღნიშნული პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვები გაიმართება: **2025 წლის 23 იანვარს, 13:00 საათზე, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. გეგუთის კულტურის სახლის შენობაში და 2025 წლის 23 იანვარს, 16:00 საათზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. კვახჭირის ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში.** სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად ასევე განთავსებულია გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

,,საჯარო განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2018 წლის 22 თებერვლის №2-94 ბრძანების თანახმად, გზშ-ისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობაზე **სკოპინგის ანგარიშისა და გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვას უნდა ესწრებოდეს საქმიანობის განმახორციელებელი ან/და კონსულტანტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ასევე შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს წარმომადგენლები.**

გთხოვთ, უზრუნველყოთ ზემოაღნიშნული სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციის განთავსება, როგორც **თქვენი მუნიციპალიტეტების მერიების** საინფორმაციო დაფაზე, ოფიციალურ ვებგვერდსა და **Facebook-ის** გვერდზე, აგრეთვე საქმიანობის განხორციელების სიახლოვეს **(სოფ. გეგუთი, სოფ. კვახჭირი, სოფ. სარბევი)** ინფორმაციის გავრცელების დამკვიდრებულ ადგილებზე (მაგ: ტრანსპორტის გაჩერება, სკოლა, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება, სავაჭრო ცენტრი, ფოსტის ოფისი ან/და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილი) და განთავსების დამადასტურებელი დოკუმენტაციის სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისთვის გამოგზავნა ფოტომასალის სახით.

დანართის სახით გიგზავნით ზემოაღნიშნული პროექტის სკოპინგის განცხადებას თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად და ინფორმაციას საჯარო განხილვის შესახებ. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით შეგიძლიათ, დაუკავშირდეთ სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს (ტელ: +995 322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

დანართები:

- საჯარო განხილვის შესახებ განცხადება - 2 გვერდი
- პროექტის დოკუმენტაცია - 4 ფაილი

პატივისცემით,

თამარ ალადაშვილი

ცენტრის დირექტორი

სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი

https://edocument.ge/mea/public/#/2335-01/1-2-202412271619

QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE